TEZAUR LITURGIC

30 OCTOMBRIE

ACATISTUL
SF.MUCENIC
IOTAM
ZEDGENIZDE
DE LA
PARAVANI GEORGIEI

TBILISI,2000

დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა იოთამ ზედგენიძისა, მეფისათვის თავდადებულისა

კონდაკი 1

ქებით შეგასხამთ, ღირსო იოთამ, და ვითხოვთ შენ მიერ შეწევნასა, ხოლო შენ, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ დიდი, მოწყალე-ჰყავ ჩუენ ზედა კაცთმოყუარე უფალი, შეგვჭუროს ძალითა თჳსითა უძლეველითა, ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა, რაჲთა ვპოოთ განსუენებაჲ და შუებაჲ წარუვალი ქებით შემსხმელთა შენთა: გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

იკოსი 1

იყავ რაჲ ჰასაკითა სრული, უძლეველ გონებითა, და მოუდრეკელ სულითა, უზეშთაეს იღუაწე კაცობრივისა მის ბუნებისა უძლურებითა, და დასდევ თავის შენი მეფისათჳს და ერი შენი იჳსენ მოსალოდებელისაგან საფრჴისა და განსაცდელისა, აწცა ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩუენსა და მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა, ვიდრე აღსრულებადმდე

საუკუნისა დაიცვას ივერიაჲ და ერი ივერიისაჲ, რაჲთა შეწევნითა შენითა ვიქადდეთ და გნატრიდეთ წადიერებითა:

გიხაროდენ, თავადო და მჴედართმთავარო, უმუსრველო ძეგლო ვაჟკაცობისაო;
გიხაროდენ, გოდოლო შეუძრველო სიმჴნისაო;
გიხაროდენ, დიდხელოვანო მტერთა ძლევისაო;
გიხაროდენ, ფარო, დამცველო ერისა შენისაო;
გიხაროდენ, მახჳლო ორლესულო, განმკვეთელო ბოროტებისაო;
გიხაროდენ, მაგალითო საღმრთოჲსა მჴედრობისაო;
გიხაროდენ, დიდებაო ქუეყანისაო და სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, ხატო წინაპართა ჩუენთა სიქუელისაო და გულისჴმიერებისაო;
გიხაროდენ, ახოვანო, რჩეულო მხედარო, აღმძრველო მამაცობისაო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 2

განრისხნა რაჲ უფალი ცოდვათათჳს ქრისტიანეთა ზედა, აღიღო კონსტანტინეპოლი სულტანმა, და განლაღნეს თურქნი და იწყეს ბოროტის ყოფად და

მოოხრებად ქრისტეს მორწმუნეთა ერთა, ხოლო ჟამთა მათ უმეტეს აღზევდა სამცხისა ათაბაგი ყვარყვარე და განუდგა რაჲ გიორგი მეფესა, დაუცხრომელად იღუწიდა, რაჲთა დაერღვია ერთობაჲ საქართველოჲსა, ხოლო შენ ერთგულ იყავ ღმრთივცხებულისა მის მეფისა და მოყუარულ ერისა და მაქებელ ღმრთისა: ალილუია.

იკოსი 2

ესმა რაჲ მეფესა განდგომაჲ ათაბაგისაჲ, აღილაშქრა და წარემართა სამცხესა და დასცა რაჲ ბანაკი ფარავნის სანახებსა, შემოუჩინნეს მას მოღალატენი, რაჲთა მოკლან ცხებული ღმრთისა, ხოლო შენ გესმა რაჲ საშინელი განზრახვაჲ განდგომილთა, შეძრწუნდი და მწუხარე იქმენ ფრიად, რამეთუ შერაცხე საქმჱ იგი სირცხჳლად ერისა და დამხობად ერთობისა, ეგრეთვე აწ ამაო ჰყვენ საშინელნი მზაკუვარებანი მათნი, რომელნი უკეთურებითა იღუწიან სავნებელად ჩუენდა, და შეუხებელად დაგვიცევ ზედა დასხმისაგან მტერთასა, რაჲთა სიხარულითა გნატრიდეთ და ვაქებდეთ სპარაზენობასა შენსა ბრწყინვალესა:

გიხაროდენ, ძველთა მათ წარჩინებულთა აზნაურთაგან აღმოცენებულო;
გიხაროდენ, სიყრმითგან სათნოებისმოყუარეობითა განშუენებულო;

გიხაროდენ, სიკეთითა და კაცთმოყუარებითა განბრწყინვებულო;
გიხაროდენ, ღმრთივსულიერთა წიგნთა მიერ განსწავლულო;
გიხაროდენ, ცხორებითა საჩინოჲთა განსრულებულო;
გიხაროდენ, მოწყალებითა გამოჩინებულო;
გიხაროდენ, მამულის სიყურულითა აღგზებულო;
გიხაროდენ, მამაცებრითა სიმჴნითა აღჭურვილო;
გიხაროდენ, კეთილმსახურებისა მადლითა აღვსებულო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 3

მსწრაფლ მიუთხარ რაჲ საქმჱ ეგე მეფესა, არცა-ღა ირწმუნებდა ღალატსა და გულისწყრომითა შეგრისხავდა, არამედ შენ კუალად არწმუნებდი და აუწყებდი ბოროტსა მას ზრახვასა მახლობელთა მისთასა, ამისთჳსცა აღგძრავთ მეოხებად ღმრთისა მიმართ, მოიხილოს ჩუენ ზედა, რომელთა არა გუაქუს სიტყჳსგებაჲ წინაშე მისა, და აღგვავსოს მღჳძარებითა საღმრთოჲთა, რაჲთა ვევლტოდეთ რისხვასა ღმრთივაღძრულსა და მადლსა და დიდებასა მივსცემდეთ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 3

ხჳდოდი რაჲ მცნებათა ღმრთისათა და სამართალთა მისთა, მოგცნა შენ განზრახვაჲ კეთილი და სიმტკიცჱ და ძალი მეფისათჳს თავის დადებისა, და ეტყოდი წადიერებითა: „უკეთუ არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რაჲთა ღამესა ამას მე დავწვე ქუეშაგსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“. ეგრეთვე აწ ჩუენცა დაგვიცევ ყოველთაგან ჭირთა და განსაცდელთა, რაჲთა სიყუარულით და მშჳდობით ვცხონდებოდეთ და ვიტყოდეთ ქებულებათა შენთა:

გიხაროდენ, უფლისა მიერ ყოველთაგან გამორჩეულო;
გიხაროდენ, მადლისა კეთილ-მოქმედებითა განათლებულო;
გიხაროდენ, ერთგულებითა და სათნოებითა განბრწყინვებულო;
გიხაროდენ, სანუგეშოდ ეკლესიისა და განსაშუენებელად საქართველოჲსა გამოჩინებულო;
გიხაროდენ, ერისა შენისა ჴსნად და მოღუაწედ მოვლინებულო;
გიხაროდენ, ორგულებისა და სივერაგისა მომძულებელო;

გიხაროდენ, ღმრთისა ძალითა კეთილად
აღჭურვილო;
გიხაროდენ, დიდთა მათ ღუაწლთა შენთა
სიმტკიცითა შემკულო;
გიხაროდენ, ქრისტეს მოწამეთა თანა მითუალულო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა
და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა
მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 4

დათხევად სისხლისად უფროდს საწადელ გიჩნდა, ჲ,
იოთამ, ტარიგო ქრისტჱსო სანატრელო, ვიდრეღა
შუებად საწუთოდსად, და ანდერძად ამცნე ძეთა შენთა,
რადთამცა დასდონ თავი ერისათჳს თჳსისა და
მამულისა, და განაკრძალებდი რად მათ, ღირსო,
აღაგზებდი მოშურნეობითა და საღმრთოდთა
ტრფიალებითა, აწცა ნუ დასცხრები ვედრებად
ღმრთისა მიმართ, საცთურებასა და ჭირთა საჴუმილსა
შინა ჩუენცა გუასხუროს ცუარი მადლისა შენისად,
რადთა დავდვათ თავი ჩუენი შეუგინებლობისათჳს
სჯულისა და ძმათა ჩუენთათჳს, და უეჭველად
ღმერთი მოგუანიჭებს რად საუკუნოსა ცხორებასა,
მარადის შენთანა შევასხამიდეთ მას სადიდებელსა
გალობასა: ალილუია.

იკოსი 4

არად შერაცხენ შენ შინებაჲ სიკუდილისაჲ და არცა-ღა უკუნ-იქეც დაობლებისათჳს შჳლთა, არამედ ერთგულებისათჳს მამულისა და მშჳდობით დაცვისათჳს ერთა თჳსთა, პატივი და დიდებაჲ დაუტევე, მოცემული შენდა წინაპარ-მამეულად და განიზრახე ჴსნაჲ მეფისაჲ, ხოლო აწ მოაკუდინე ყოველნი ზრახვანი მტერთა ჩემთა, რომელთა უნებთ წარმწყმედაჲ ჩემი და ქრისტჱსმიერი წყალობაჲ მოგვეც მოსავთა შენთა და მაქებელთა:

გიხაროდენ, მამულისა ვენახისა, კურთხეულისა, მუშაკო დაუცხრომელო;
გიხაროდენ, გულსა შინა შენსა საღმრთოჲსა შიშისა და მოყუასისა სიყუარულისა სამარადისოდ დამნერგველო;
გიხაროდენ, ჭირთა და ურვათა საჴუმილისა დამშრეტელო;
გიხაროდენ, ახოვნებითა და სიმამაცითა სულმოკლეთა და დაჴსნილთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, უძლურთა ძლიერებაო და მძლავრთა დამცემელო;
გიხაროდენ, გლახაკთა შესავედრებელო და შიშველთა სამოსელო;
გიხაროდენ, მართლმსაჯულო უღონოთაო და

ქურივთა და ობოლთა ჴელის-აღმპყრობელო;
გიხაროდენ, მღჳძარედ და ფხიზლად ცხორებისა შემაგონებელო;
გიხაროდენ, სიმართლის მოძულეთა და ბოროტის კეთილად დამდებთა შემრისხველო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 5

დაღათუ არა ჰგონებდა საფრჴესა მას ჭეშმარიტად, დიდ-ბუნებოვანებისა კაცთმოყუარებისა და ახოვნებისა შენისათჳს შეგიწყნარა მეფემან დიდითა პატივითა, და გრქუა ვნებად მისრულსა: „დაღათუ არცაღა მრწმენა საფრჴჱ ეგე, შენდა მადლიერ ვარ და მოგანიჭებ დიდებულებასა მას მაღალსა“, ხოლო ჩუენ შევნატრით თავდადებასა შენსა საკჳრველსა და ვადიდებთ ღმერთსა, დამბადებელსა ყოველთასა: ალილუია.

იკოსი 5

განაკჳრვა უკუე მეფჱ სიმტკიცემან შენმან და უშიშად ქცევამან და ყოვლისა სათხოველისა აღსრულებაჲ აღგითქუა რაჲ ფიცითა, გრქუა: „ესრეთ განწირავ თავსა თჳსსა სიკუდიდ, - მარადის მეოხ და მფარველ

ვექმნები ყოველთა სახლეულთა შენთა და ნათესავთა“; აწ ჩუენცა შეგვწყალე და ევედრე ქრისტესა, მაცხოვარსა ჩუენსა და ღმერთსა, რაჲთა არა სამართლად მოგვაგოს ბოროტად საქმეთა ჩუენთათჳს და ცოდვათა შენდობაჲ მოგვცეს მთხოველთა ამათ და მგალობელთა:

გიხაროდენ, კეთილმსახურებისა ნათლითა ბნელთა შინა დაშთომილთა სულთა განმანათლებელო;
გიხაროდენ, ერსა შინა ჩუენსა სიბრძნისა და კეთილმსახურებისა სულისა განმაახლებელო;
გიხაროდენ, მადლითა საღმრთოჲთა უმეცართა განმაბრძნობელო;
გიხაროდენ, ნელ-ტფილისა სარწმუნოებისა განმაცხოველებელო;
გიხაროდენ, ქედფიცხელთა და გონებაურჩთა განმსწავლელო;
გიხაროდენ, მრავალთა წყლულებათა განმკურვნელო;
გიხაროდენ, მტერთა ძჳრის-ზრახვისა განმჴდელო;
გიხაროდენ, უსჳნდისობისა სიმყრალის განმწმედელო;
გიხაროდენ, ერისათჳს შენისა კეთილმსახურებითისა სიტკბოებისა უფლისაგან გამომთხოველო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 6

მოგცა რაჲ დასტური მეფემან, განბრწყინდა ასპარეზი ძლევის მოყუარეთაჲ, და რბიოდი გზასა მას იწროსა და საჭირველსა, და განემზადე რაჲ სიკუდილისა დათმენად, ჴმა-ყავ სიბრძნითა და ახოვანებითა: „აწ მეცა მოვკუდე ნაცვლად მეფისა, რამეთუ ესრეთ სთნავს ღმერთსა, გადარჩენისათჳს ერისა ჩუენისა“, და აკურთხევდი ქრისტესა, რომელმანცა მოგცა შენ განზრახვაჲ კეთილი და მადლითა განბრძნობილი უგალობდი მას, ვითარცა ნათლისა მომცემელსა: ალილუია.

იკოსი 6

ღამესა მას შემოხდენ რაჲ ორგულნი კარავსა მას მეფისასა, ლოცვითა და სარწმუნოებითა აღჭურვილი ეტყოდი თავსა თჳსსა: „იხარებდ, ჶ, იოთამ! რამეთუ მეფისათჳს მისცემ ცხორებასა შენსა მოკუდავსა, და ქრისტჱსგან, ვითარცა უკუდავისაგან მეფისა მიიღებ ჯილდოდ ცხორებასა დაუსრულებელსა“, და შეჰვედრებდი სულსა შენსა ღმერთსა, გარნა მათ გიხილეს რაჲ მწოლარჱ სარეცელსა ზედა, ჰგონებდეს მეფესა და ვითარცა ცხოვარი დაგკლნეს რაჲ მახჳლითა, მოიგე მადლი ერთგულობისაჲ და გჳრგჳნი ახოვნებისაჲ და აწ შეერთებული დიდებულსა მწყობრსა სჯულისა და ქუეყანისათჳს

თავდადებულთა მამა-პაპათასა, ნუ დასცხრები ვედრებად ცოდვათა შენდობისა ღირს-ყოფად მგალობელთა შენთა:

გიხაროდენ, უწყალოდ მახვილითა დაჩხვეპილო და მსგავსად სამსხუერპლოჲსა ზუარაკისა დაკლულო;
გიხაროდენ, ტარიგო განწმედილო, ზეცისა საკურთხეველსა შეწირულო;
გიხაროდენ, წმიდათა თანა ზეცისა იერუსალჷმსა დამკჳდრებულო;
გიხაროდენ, ნებსით თჳსით სიკუდილისა მითვალვითა განდგომილთა მამხილებელო;
გიხაროდენ, საფარველითა მადლთა შენთაჲთა ერისა ჩუენისა მცველო და მფარველო;
გიხაროდენ, მზაკუვართა და ორგულთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, მეფის ერთგულთა სულიერითა სიხარულითა აღმავსებელო;
გიხაროდენ, დაცემულისა ქრისტეანულისა სულისა აღმაორძინებელო;
გიხაროდენ, რისხჳსა საღმრთოჲსა დამაყენებელო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 7

ცისკარსა მას მოისწრაფდა მეფჱ კარავსა თჳსსა, და იხილა რაჲ გვამი შენი მცურვალი სისხლსა, დიდად განძჳნდა და მჴურვალითა ცრემლითა დაგიტირა, ხოლო მტერნი და ორგულნი თჳსნი შეიპყრნა და არცა-ვინ განერა ჴელთაგან მისთა, აწ ჩუენცა განვარისხეთ უფალი, ღმერთი ჩუენი, ბოროტად ცხორებითა და გონებითა შეგინებულითა და არაწმიდითა ქცევითა, არამედ შენ იმეოხე წინაშე მისა, დანერგოს ჩუენ შორის შიში და მოძაგებაჲ ცოდვისაჲ და სიყუარული სათნოებისაჲ, რაჲთა შეწევნითა შენითა ვიქადდეთ და მარადის ვაქებდეთ სახიერებასა მისსა: ალილუია.

იკოსი 7

მაშინ აღიძრა მეფჱ მადლიერებითა და მოუწოდა რაჲ ძეთა შენთა, აღავსო იგინი წყალობითა, და უფროსსა მას ციხე გორისჯვრისაჲ და მამულნი მიუბოძა, და მიანიჭა სპასპეტობაჲ ქართლისაჲ და ამილახორობაჲ სამეფო კარისაჲ, ხოლო მათ კეთილად შეიწყნარეს პატივი ესე, და გულსმოდგინებითა მსახურებდენ რაჲ მეფესა და ერსა, გმადლობდენ შენ, ვითარცა მიზეზსა ამაღლებისა მათისასა და ადიდებდენ ღმერთსა, მისა მიმართ მიგავლენთ შენ მეოხად, დიდებულო, მოგვცეს ჩუენ გული გონიერი და ბრძენი,

გულისხჴმის-ყოფად კეთილისა და ბოროტისა, რაჲთა ვიღუაწოთ ახოვნებითა ვნებათა მიმართ და ღირს ვიქმნეთ შენდა შეწირვად გალობისა:

გიხაროდენ, ახოვანო და უძლეველო, ღუაწლისა კეთილისა შრომითა და სისხლითა მომღუაწებელო;
გიხაროდენ, წარმავალისა დიდებისა წილ წარუალისა ნათლისა მომღებელო;
გიხაროდენ, მტერთა უწყალოებისა მომამდოვრებელო;
გიხაროდენ, საღმრთოჲთა ძალითა მზაკუვართა და ორგულთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, უსასოოთა და შეცთომილთათჳს წრფელისა გზისა მაჩვენებელო;
გიხაროდენ, სარწმუნოებისაგან განდრეკილთა და უსჯულოებისა მომქმედთა შემრისხველო;
გიხაროდენ, მეფისათვის თავისა განწირვითა შთამომავალთათჳს საგვარეულო საძვალედ შიო-მღვიმისა მომპოვნებელო;
გიხაროდენ, საკჳრველითა ღუაწლითა შენითა მათთჳს აზნაურობისა პატივისა თავადურითა შემცვალებელო;
გიხაროდენ, ამილახორთა გვარისათჳს საფუძველისა დამდებელო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 8

ესმა რაჲ თავგანწირვაჲ შენი ქართველთა, თუ ვითარ მოკლულ იქმენ ნაცვლად მეფისა - ყოვლითა სიკეთითა სრულისა და აღმკულისა, ვინაჲცა ბრძოდა და დაშურებოდა ერთობისათვის საქართველოჲსა, ღირსად აქებდენ დიდებულებასა სიმჴნისა შენისასა, და მადლიერნი ღმრთისა მიმართ, ყოვლად მოწყალისა, შესწირვიდენ მას ქებასა ამას ქებათასა: ალილუია.

იკოსი 8

დიდად მჴნედ და ერთგულად გამოჩნდი შენ, ყოვლად ქებულო იოთამ, რაჟამს განემზადე შეწირვად თავისა თჳსისა და აღმსარებელ მცნებისა უფლისასა, რომელსა იტყჳს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რაჲთა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუსისათჳს თჳსისა“, რაჲცა ყავ - სათნოებაჲ მაღალი და განსათქმელი და ღირსი ყოვლისა შესხმისა:

გიხაროდენ, ზეცადმდე აღწევნულო სუეტო სიბრძნისაო;
გიხაროდენ, შეურყეველო ზღუდეო კეთილმსახურებისაო;
გიხაროდენ, გამოუკვლეველო უფსკრულო სიყუარულისაო;

გიხაროდენ, დამნერგველო კეთილისა ზნეობისაო და ღმრთივ-სათნოჲსა ქცევისაო;
გიხაროდენ, დაუშრეტელო ზღუაო კაცთმოყუარებისაო;
გიხაროდენ, ღუაწლითა შენითა კეთილად სრულმყოფელო საღმრთოჲსა სარბიელისაო;
გიხაროდენ, ახოვნებისაჲ მის გჳრგჳნისა წილ დამდგმელო ზეცისა გჳრგჳნისაო;
გიხაროდენ, საფარველითა მადლთა შენთაჲთა მცველო და მფარველო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, სჳნდისო და სიქადულო ნათესავისა ჩუენისაო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 9

დაღათუ პირველვე უწყოდი სიკუდილი შენი, სანატრელო, დასდევ თავი შენი და სული ერისათჳს შენისა და მეფისა, და იჳსენ იგი ვნებისაგან და სიკუდილისა, ეგრეთვე აწ მგელნი მტაცებელნი გარე მოგვადგეს განხრწნად სულისა და ჴორცისა ჩუენისა, გარნა შენ შეგვეწიე, ღირსო იოთამ, და დაღათუ არა ვართ ღირს ცოდვათა ამათ ჩუენთათჳს, ევედრე ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, მოგუცეს მწყემსი

სარწმუნოდ და მართალი, სათნოდ მეფედ და წინამძღურად სამწყსოთა თჳსთა, რაჲთა ყოვლითავე სულიერითა და ჴორციელითა კეთილითა აღაორძინებდეს ღმრთისმშობლის წილხვედრსა ერსა ჩუენსა, ჟამსა ამას დამცრობილსა და დამდაბლებულსა, და მარადის ადიდებდეს იესუს, მაცხოვარსა და ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 9

ეჰა, ვითარი სახელ-დიდებულებაჲ შეგძინა შენ თავდადებამან შენმან საკჳრველმან, რამეთუ უახოვნესი აჩუენე რაჲ ღუაწლის-მოყუარებაჲ, ეკლესიამან ქართველთამან ყოველთა საცნაურად წმიდანად დაგადგინა და სადიდებელი შენი და მოხსენიებაჲ ყოველთა სამწყსოთა მისთა განგვიჩინა, ხოლო ჩუენ პატივს-გცემთ, ქრისტეს მჴედარო იოთამ, და მდგომარენი ლოცვათა შინა გაქებთ შენ და დიდებისგმეტყუელებთ მსგავსად ძალისა ჩუენისა:

გიხაროდენ, ქართველთა მზეო მრავალ-მნათობო, ღუაწლითა შენითა მამულისა წყუდიადისა განმაცისკრებელო;
გიხაროდენ, მართლმადიდებელთა ეკლესიისა ლამპარო, უგულისჴმოებისა ბნელისა განმდევნელო;
გიხაროდენ, ღუაწლთა და მოწევნულთა განსაცდელთა თავს-მდებელო;

გიხაროდენ, სოფლისა ღელვათაგან შერყეულთა
გულთა ღმრთისმოსავობასა ზედა განმსწავლელო;
გიხაროდენ, სულიერისა მღვძარებისა ზარისა
დამარისხებელო;
გიხაროდენ, ღმრთისა და მამულის სიყუარულისა
განმამტკიცებელო;
გიხაროდენ, ყოველთა ბოროტთა ზნე-ჩუეულებათა
აღმკვეთელო;
გიხაროდენ, სატანისა მაჴეთაგან და უცხო თესლთა
ზედა მოსლვისაგან დამცველო;
გიხაროდენ, ძმათ-უყუარულთა და მზაკუართა კაცთა
მამხილებელო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა
და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა
მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 10

რომელსა გაქუნდა თანალმობაᲘ დიდი მეფისა მიმართ
და განარინე საფრხესა, აწ იხილე ურიცხუთა მტერთა
საფრჴენი განფენილად ბოროტად თანა-მონათესავეთა
და ერთ-სჯულთა ქართველთა ზედა და გჴსენ
ურთიერთმძლავრებისა და შინაგანცემისაგან, რამეთუ
განძლიერებაᲘ ერისაᲘ ითხოვს ერთობასა, და
სიყუარულითა ღმრთისა და მამულისაᲘთა

ერთზრახვად შეკრულნი, ვმადლობდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ყოველთასა: ალილუია.

იკოსი 10

ვითარ გამოუჩნდი შენ მჴსნელად ერსა ჩუენსა და მეფესა, ეგრეთცა ყურად-იღე ლოცვანი ჩუენნი და მოგჴსენე წინაშე ღმრთისა, დაშრიტოს საზეპუროსა ერსა ჩუენსა ზედა აღძრული საიდუმლოჲ იგი უშჯულოებისაჲ და მოგუმადლოს ჩუენ ღირსნი მამანი და ბრძენნი წინამძღუარნი, რაჲთა არა სრულიად განიხრწნას საქართველოჲ - წილხვედრი ესე ქუეყანაჲ ღმრთისმშობლისაჲ, არამედ ყოველნი ვიქმოდეთ სამართალსა და აღმოვსთქუამდეთ ესევითართა გალობათა:

გიხაროდენ, ზეგარდამო მოვლენილო განწმედისათჴს ერისა შენისაო;
გიხაროდენ, დიდხელოვანო მტერთა ძლევისაო;
გიხაროდენ, მასწავლელო ვაჟკაცობისა და სულგრძელობისაო;
გიხაროდენ, შეურყეველო გოდოლო ჭეშმარიტისა მსჯავრისაო;
გიხაროდენ, დაუჭნობელო ყუავილო საცნაურისა სამოთხისაო;
გიხაროდენ, შუენებაო ქართველთა ბრწყინვალისა დასისაო;

გიხაროდენ, ქრისტჱს აღმსაარებელთა თანა მითუალულო, მომღებელო მუშაკობისა მის სასყიდლისაო;
გიხაროდენ, სიმტკიცეო მეფეთა სკიპტრისაო;
გიხაროდენ, სასიქადულო ძეო მამულისა ჩუენისაო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 11

თავდადებაჲ შენი საკჳრველი არცა-ღა დაინთქა სიღრმესა დავიწყებისასა, რამეთუ ძველნი მატიანენი გვაუწყებენ მოქალაქობასა შენსა, თუ ვითარ იღუწიდი სადიდებელად ღმრთისა და აღორძინებისათჳის ივერიისა, ეგრეთვე აწ გჳოხე უფლისა მიმართ და გჳთხოვე, რაჲთა გარე წარაქციოს რისხვაჲ აღდგომილი ჩუენ ზედა, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩუენთასა, და ლაზარესაებრ აღგჳდგინოს მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა, რაჲთა არა დასათრგუნველ ვიქმნეთ მარბიელთა უცხოთა ტომთა და ნათესავთაგან და მინდობილნი ქრისტესა ვაქებდეთ ძლიერებასა მისსა: ალილუია.

იკოსი 11

სამართლად პატივს გცემენ შენ და იქადიან ზედგენისძენი ამილახუართა თანა და გმადლობენ შენ, წმიდაო, სახელოვანსა და ყოვლად დიდებულსა წინაპარსა, ვითარცა მიზეზსა მრავალთა კეთილთასა, ამისთჳს ჩუენცა მათთანა გაქებთ, ღმრთივდიდებულო იოთამ, და მეოხად მიგავლენთ ქრისტჱს მიმართ, რაჲთა შენს მიერ ვიქმნნეთ ჩუენ მხედრობად ღმრთისა, წინა-აღმდგომად და დამამხობელად ყოველთა მტერთა მისთა, და გნატრიდეთ შენ, ვითარცა ზღუდესა ჩუენსა და საფარველსა:

გიხაროდენ, ღუარითა სისხლთა შენთაჲთა შეთქმულთა სიცბილისა დამშრეტელო;
გიხაროდენ, მრავალშეთხზულთა მათ მანქანებათა მტერისაჲთა დამჴსნელო;
გიხაროდენ, კეთილო შუა-მდგომელო და მზაკუვარებათა განმდევნელო;
გიხაროდენ, ვნებათა ალმურისა და ბოროტთა სნეულებათა განმაქარვებელო;
გიხაროდენ, ნაყოფითა სიმჴნეთა შენთაჲთა შემდგომთა შენთა განმამჴნევებელო;
გიხაროდენ, აღბორგებულთა ღმრთისმოძულეთა მძლეველო;
გიხაროდენ, სასტიკებისა და სივერაგისა

მომძულებელო;
გიხაროდენ, ვიდრე აქამომდე უკუდავისა სახელისა მომგებელო;
გიხაროდენ, ქართლოსიანთა მიერ მარადჟამს საკსენებელო;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 12

გამოჩნდი შენ ბრწყინვალედ მნათობად, ღუაწლისა მძლეო იოთამ, და უქმ-ქმენ რაჲ განზრახვაჲ ორგულთა მათ ერისათა, განადიდე სახელი შენი და გვარ-ტომობაჲ საღმრთოჲთა მოქალაქობითა, ხოლო აწ კადნიერებაჲ მათი შეჰმუსრე, რომელნი უღმრთოებით აღჭურვილ არიან მართლმორწმუნეთა ზედა, და გჳპენ ყოვლისაგან ვნებისა ბოროტთა კაცთაჲთა, რაჲთა საწუთოჲ ცხორებაჲ კეთილად განვლოთ და ქრისტესა ვაქებდეთ სულითა და ჭეშმარიტებითა: ალილუია.

იკოსი 12

ვითარცა მჳნესა და ბრძენსა გიცნობთ შენ კრებული მართლმადიდებელთა ქართველთაჲ და მოღუაწებისა ძეგლად საცნაურად გხადით შენ, ღირსო იოთამ, და გევედრებით: განგუანათლე აწ ღელვითა ცოდვისაჲთა

დაბნელებულნი და სოფლისა შფოთითა ყოვლითურთ
დანთქუმულნი, და მოგვანიჭე ჩუენ სიმჴნჱ და
პატიოსნებაჲ და ამაო-ჰყვენ საფრთჴენი და
საბრკოლონი მტერთანი, რაჲთა გულითა წრფელითა
გნატრიდეთ და ქებასა ამას შეგასხმიდეთ ყოველნი:

გიხაროდენ, ქართლოსიანთათჳს ზეცით მონიჭებულო
სიმტკიცეო, რამეთუ შევნატრით ქართველთა ძუელსა
დიდებასა და ძლიერებასა;
გიხაროდენ, მამაცობისა ძლიერებითა
გაბრწყინვებულო, რამეთუ უშიშ იყავ, ვითარცა
უკორცოჲ და დაჰლეწე ყოველი საჭურველი
მძვინვარისა ბრძოლისაჲ;
გიხაროდენ, რამეთუ შემდგომად დანაწევრებისაცა
სრულიად საქართველოჲსა, ერთ-ნათესავნი შენნი
იყვნენ სარდალნი ქართლის სადროშოჲსა და
მოურავნი გორისა;
გიხაროდენ, რამეთუ გუარ-ტომნი შენნი კუალად
ადიდებენ ქრისტესა, რომელმანცა მისცა მათ
ეგევითარი წინაპარი და აქებენ ღუაწლსა მას შენსა;
გიხაროდენ, მოტყინარეო ლამპარო, რამეთუ
განაცისკროვნე ღამჱ ორგულებისაჲ;
გიხაროდენ, საჭურველითა ჯუარისაჲთა
შეზღუდვილო, რამეთუ ასპარეზსა ვნებისასა
განსცხადდი სრულად მჴედრად;
გიხაროდენ, რამეთუ ჰნათობ ყოველთა კიდეთა

ქუეყანისა ჩუენისათა, დაუვსებელისა ნათლისა მიფენითა;
გიხაროდენ, დიდებაო აღმსარებელთაო და ბრწყინვალებაო მჴედართაო, რამეთუ ადიდა ღუაწლი შენი ეკლესიამან ქართველთამან;
გიხაროდენ, ჭირთა შინა ურცხვენელო ჴელის აღმპყრობელო, რომელი ყოველთა შევედრებულთა შენთა მიჰმადლებ უხვსა საბოძვარსა წყაროჲსაგან ულევისა მადლისა;
გიხაროდენ, წმიდაო იოთამ, სიყუარულისათჳს ერისა და ერთგულებისათჳს მამულისა თავისა თჳსისა მეფისათჳს დამდებელო!

კონდაკი 13

ჲ, ღუაწლსა შინა მჴნეო იოთამ! ნუ გარე-მიგვაქცევ მვედრებელთა შენთა, არამედ მტკიცესა მას შენსა მეოხებასა და მამობრივსა მადლსა და შეწევნასა შევრდომილნი გჴსენ მარადის ხილულთა და უხილავთა მტერთა მრავალ საფრჴეთაგან, და ჟამსა მას შინა განსჯისასა განგუარინენ საუკუნეთა მათგან მწარეთა სატანჯველთა, რაჲთა შენ მიერ ძღუანებულნი მივიწივნეთ ზეციერსა იერუსალიმსა და ღირს ვიქმნეთ შენ თანა დიდებად ყოვლადწმიდისა სამებისა: ალილუია.

ეს კონდაკი 3-გზის, შემდეგ იკოსი 1 და კონდაკი 1

A
Ω